View metadata, citation and similar papers at core.ac.uk
brought to you by CORE
provided by ILIAUNI Open Journal Systems (Ilia State University, Tbilisi)

სოფიო კახიძე
დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ციფრული სწავლების მეთოდები და შედეგები ფრანგულ ფილოლოგიაში

რეზიუმე: თანამედროვე ეპოქაში ტექნოლოგიების უსწრაფესი ტემპით განვითარებამ გაზარდა მათი როლი და აუცილებლობა თითქმის ყველა დარგსა თუ სფეროში. პროგრესი ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც აისახა. მეტიც, სწორედ ამ სფეროში დაგროვილმა ზღვა ციფრულმა მასალამ, მათი ვირტუალური სახით ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა დისტანციური წვდომა საინტერესო და უახლეს მონაცემებზე. ფრანგული ფილოლოგია ძალზე მდიდარ ციფრულ მასალას გვთავაზობს, რითაც ცოდნის მაძიებელს შესაძლებლობა აქვს „შეაღოს ბუმბერაზი ვირტუალური სამყაროს კარი“, დისტანციურად მოიძიოს სასურველი მასალა; ვირტუალურად იმოგზაუროს მის „მეორე სამშობლოში“ – საფრანგეთში, გაეცნოს მის ღირსშესანიშნაობებსა და კულტურას, გაიღრმავოს მსოფლმხედველობა და ენის ცოდნა, გაიჩინოს ფრანგი მეგობრები, რომლებიც მას დაეხმარებიან ენობრივი ბარიერის დაძლევაში. ენა მდიდარია ისეთი კულტურული მომენტების აღმნიშვნელი რეალიებით, რომელთა გაგება და თარგმნა მშობლიურ ენაზე მათი ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ამ მხრივ კი განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგული ფრაზეოლოგიზმების სწავლების შემთხვევა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მასალა, სწავლების მეთოდი, ლინგვოკულტუროლოგია, ფრაზეოლოგიური ერთეულები, ფრანგული ფილოლოგია, ეტიმოლოგია, სიმბოლიკა

Abstract: In the 21st century technologies develop too fast. Their role and necessity are increased in almost all fields and spheres. The humanitarian sciences cannot be an exception of this contemporary

progress. Moreover, huge collected digital materials and their accessibility via virtual way has made possible to have distant access to the newest and interesting data. French Philology offers a very rich digital material such as electronic scientific journals, French language learning tools, numerous exercises, illustrated vocabularies, phraseology and their etymology, French language corpuses, video lessons, video clips, digital books, etc. which are accessible almost for everyone via internet. Foreigners who are learning French language, internet is the one of the best way to "open a door of a huge virtual universe", and distantly receive the necessary information, to travel to their "second homeland" France, to visit it in a virtual way, to learn its sights, to develop a worldview and learn the language, to become familiar with French culture, to meet French friends who will help to overcome the language barriers.

Keywords: Digital Material, Teaching Methods, Linguoculturology, Phraseological Units, French Philology, Etymology, Symbolic

შესავალი

უცხო ენის სწავლება საკმაოდ კომპლექსური პროცესია. გლობალიზაციის ეპოქაში, ვფიქრობ, სწავლება ტრადიციული სწავლების მეთოდების გარდა, მასწავლებლისგან თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობასა და პრაქტიკაში მათ დანერგვას მოითხოვს, ასეთი კომბინირებული სასწავლო პროცესი კი, საბოლოოდ გაუმჯობესებულ შედეგებს მოიტანს. სწავლების მეთოდის ძირითადი მოთხოვნები: გაადვილოს უცხო ენის სწავლების პროცესი და ახალი მასალის ათვისება, დააინტერესოს მასწავლებელი და აამაღლოს მისი მოტივაცია, დაეხმაროს პედაგოგს, სწორად წარმართოს სწავლების პროცესი, ჩამოაყალიბოს მოსწავლისაგან მკვლევარი (მისცეს დავალებად ახალი, დამატებითი ციფრული მასალის მოძიება), განუვითაროს სხვადასხვა უნარები და ა.შ., მარტივად განსახორციელებელია თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით. თუ ადრე სწავლების პროცესში წამყვანი როლი ენიჭებოდა წიგნს, მასწავლებლის ცოცხალ სიტყვასა და სასწავლო გარემოს, დღეს უკვე მრავალფეროვანი არჩევნის წინაშე ვდგავართ. უცხო ენის სწავლება გააადვილა ციფრული მეთოდის ფართო გავრცელებამ, რაც კომპიუტერის, სმარტფონებისა თუ პლანშეტის ფართო გამოყენებამ ნებისმიერი ასაკის პიროვნებისთვის

მარტივად ხელმისაწვდომი და შესაძლებელი გახადა როგორც სახლში, ასევე სასწავლო დაწესებულებებსა თუ ენის ცენტრებში.

ციფრული მასალა ფრანგულ ენაში

ფრანგული ფილოლოგია ძალზე მდიდარ ციფრულ მასალას გვთავაზობს: ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალები, ფრანგული ენის სწავლების საშუალებანი: ონლაინ-სავარჯიშოები, ილუსტრირებული ლექსიკონები, ფრაზეოლოგიზმები და მათი ეტიმოლოგიები, ფრანგული ენის კორპუსები, ვიდეო გაკვეთილები, ვიდეოფილმები, გადმოსაწერი ციფრული წიგნები. ისინი ინტერნეტის საშუალებით მეტ-ნაკლებად თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ციფრული მეთოდის დანერგვის მცირე ისტორია ფრანგულ ფილოლოგიაში

ტიერი სუბრიესა (Thierry Soubrié) და შარლოტ დეჟან–ტირკუირის (Charlotte Dejean-Thircuir) თანახმად, სკოლებში ფრანგულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში ციფრული მეთოდი 1999 წელს დაინერგა[1]. წიგნსა და ციფრულ მეთოდს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა – ევროპული პროექტის *"Babelnet"*[2] ფარგლებში, გამომცემლობა „დიდიე" გვთავაზობს წიგნ *"Bravo"*-ს სამივე დონისა და საიტ *"Canal-Rêve"*-ის აქტივობების შესაბამისობას. ეს საიტი ამჟამადაც ფუნქციონირებს და ფრანგული ენის დაუფლების მსურველთ სთავაზობს ენის შესწავლისთვის საჭირო აქტივობებსა და მეთოდურ დახმარებას. მათი აზრით, ციფრული მეთოდის დანერგვის ერთ-ერთი მიზანი მოსწავლეთა „ჩანთების შესამსუბუქებლად" არსებული წიგნების PDF ფაილებით ჩანაცვლება იყო „[...] 2000 წ. აკიტენის რეგიონის ინიციატივით, ასეც მოხდა. ციფრული წიგნები პირველად მესამე კლასელებთან გამოიყენეს" (Soubrié, Dejean *L'introduction du numérique dans les manuels de FLE: un moyen de repenser les finalités de l'education et les approches pédagogiques?* 1-2). მეორე მიზანი კი, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: საუკუნეების მანძილზე დაგროვილი უდიდესი ცოდნა ყველასათვის ხელმისაწვდომი გაეხადათ ციფრული სახით.

> Dès 1999, lorsque l'initiative Elearning est lancée dans la continuité du Conseil européen de Lisbonne, pour accélérer l'adaptation à l'ère numérique de l'éducation et de la formation en Europe (Commission,

1. http://hal.univ-grenoble-alpes.fr/hal-01162397/document
2. http://babelnet.sbg.ac.at/project_fr.htm

> 2000c), il ne s'agit pas seulement d'amener les enseignants à utiliser les technologies, ni même de former les apprenants à leur utilisation, mais aussi de modifier leurs pratiques. Dès cette époque en effet, il est attendu des technologies numériques qu'elles aient un impact sur l'organisation et les méthodes. (*Ibid.* 4)[3]

მაინც რას ნიშნავს ტერმინი ციფრული? ფ. დემეზიერსა (Françoise Demaizière) და მ. გრობუას (Muriel Grosbois)[4] თავიანთ ნაშრომში *Numérique et enseignement-apprentissage des langues en Lansad – Quand, comment, pourquoi?* მოჰყავავთ ბ. დევოშელის (Bruno Devauchelle) განმარტება:

> B. Devauchelle propose de «situer le terme "numérique" comme un englobant d'une science, de techniques, d'usages, de culture et d'imaginaire». Pour lui, associer numérique et éducation, revient à rapprocher «deux termes dont la complexité est de même niveau (…) numérique et éducation sont en train d'entrer réellement en collision». Il ajoute que le numérique est le compagnon d'une nouvelle forme de vivre ensemble à l'échelle mondiale: les nouvelles proximités permises par les technologies du numérique ont changé la forme du monde. L'éducation, en particulier académique, issue de ces modèles anciens, ne peut éviter la remise en question. Celle-ci continue de monter, mais pour l'instant,

3. „ევროპაში სწავლებისა და განათლების ციფრულ ერასთან ადაპტაციის დაჩქარების მიზნით" (კომისია 2000წ.), 1999წ. ლისაბონში ევროსაბჭომ შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ინიციატივა. ეს უკანასკნელი გულისხმობდა არა მხოლოდ მასწავლებელთა ტექნოლოგიების გამოყენებამდე მიყვანას, არც მათთვის ტექნოლოგიებით სარგებლობის სწავლებას, არამედ მათი პრაქტიკის შეცვლასაც. სინამდვილეში, ამ პერიოდიდან დაწყებული ციფრული მეთოდებისაგან სწავლების ორგანიზაციასა და მეთოდებზე ზემოქმედებას ელოდნენ [აქაც და შემდეგშიც თარგმანი ჩვენია=ს.კ.]

4. http://alsic.revues.org/2691

les barrières face au numérique résistent. Pour combien de temps encore? (*Ibid*. 17)[5]

ციფრული სწავლების მეთოდები და მათი გამოყენება ფრაზეოლოგიზმების სწავლებისას

„სწავლის შედეგებით განისაზღვრება როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდიკა და შეფასების ფორმატიც“ (ღლონტი et *al*. 49). მეთოდის შესარჩევად აუცილებელია, წინასწარ იყოს განსაზღვრული სწავლების შედეგები, ანუ როგორ მივიდეთ კონკრეტულ მიზნამდე და რისი გაკეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ თუ სტუდენტმა კურსის დასრულების შემდეგ. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, თუ მოსწავლეები სასკოლო გარემოში ფრანგულ ენას სწავლობენ იძულებითი მოტივაციით, მათგან განსხვავებით, სტუდენტები ენას ეუფლებიან პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, ამიტომ მათი მოტივატორი ფუნქციური მიდგომა იქნება[6], ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. როგორც ბიბილეიშვილი განმარტავს, „მეთოდი არის ის გზა, ხერხი და საშუალება, რომელსაც მასწავლებელი იყენებს აღზრდის მიზნიდან გამომდინარე, ყოველი ცალკეული სასწავლო ამოცანის გადასაწყვეტად. რამდენადაც სწავლა აღზრდის ძირითადი გზაა, ამდენად ბუნებრივი და გასაგებია, რომ სწავლების მეთოდი ამავე დროს, გარკვეული მნიშვნელობით, აღზრდის მეთოდიცაა, აღზრდის ძირითადი გზაა (ციტირებულია in დიასამიძე, თანამედროვე სკოლის მართვის სტრატეგიები 103-104).

როგორც ს. ლობჟანიძე სტატიაში „სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები“ აღნიშნავს:

5. ბ. დევოშელის თანახმად, ტერმინი „ციფრული“ ეს არის მეცნიერების, ტექნოლოგიების გამოყენების, კულტურისა და წარმოსახვის მომცველი ერთობლიობა. მისი აზრით, სიტყვების – ციფრულისა და განათლების – დაკავშირება „ორი თანაბარი სირთულის მქონე ტერმინების დაახლოებაა [...] ისინი რეალურად ეჯახებიან ერთმანეთს“. ამასთანავე ამატებს, რომ ციფრული სისტემა მსოფლიო საფეხურებზე თანაცხოვრების ახალი ფორმის თანამგზავრია: ციფრული ტექნოლოგიების წყალობით მისაწვდომმა სიახლეებმა შეცვალეს მსოფლიოს ფორმა. განათლება, ძველი მოდელიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აკადემიური, აუცილებლად გახდებოდა განხილვის საგანი. ეს უკანსაკნელი აგრძელებს სვლას, მაგრამ ამჟამად ციფრული სისტემის წინაშე არსებული ბარიერები ჯერ კიდევ საკმაოდ წინააღდეგობრივია. კიდევ რამდენ ხანს?.

6. http://portail-du-fle.info/glossaire/methodologies.html#1

> ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსის დიდაქტიკის უპირველესი მიზანი იყო, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სასწავლებელიც უფრო საინტერესოდ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად ის მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნა, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს.[7]

ეს კი ციფრულმა ერამ საკმაოდ გაადვილა.

რაც შეეხება იმ მეთოდებს, რომლებსაც მოსწავლეები სწავლის პროცესში იყენებენ, ალექსანდრე გობრონიძის თანახმად, ეს არის:

> [...] ცოდნის, უნარის და ჩვევების შეძენისა და შემეცნებითი უნარების განვითარების ხერხები. ისინი ორგანულად აერთიანებენ თავისთავში სწავლებას, სწავლისა და შემეცნების მოქმედებაზე ხელმძღვანელობას. სწავლების მეთოდად იწოდება მოქმედება, რომელიც აწესრიგებს მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთდაკავშირებულ აქტივობას. ეს არის მოქმედება, რომელიც მიმართულია განათლების, აღზრდისა და განვითარების ამოცანების გადაჭრისაკენ, რაც ხორციელდება სწავლების პროცესში. (*პედაგოგიკა* 206)

ფრანგულის, როგორც უცხო ენის, შესწავლის რთული პროცესის წარმართვა ერთი კონკრეტული მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია, რაშიც ციფრულ მეთოდებს ერთ-ერთი წამყვანი როლი უჭირავთ. ფრანგულ ფილოლოგიაში პირდაპირი მეთოდის მიხედვით "apprendre une langue, c'est apprendre des unités en contexte phrastique, des phrases en situation [...] il s'agit en fait de thèmes tirés de la vie quotidienne et de la culture du pays dont la langue est enseignée"[8] (Coianiz, *Méthodologie de l'enseignement du français et conceptions de l'homme* 39). უცხო ენის ფლობა მხოლოდ მისი უმდიდრესი ლექსიკისა და გრამატიკის დაუფლებას არ გულისხმობს, მისი კულტურის გაცნობა აუცილებელი გახდა, რადგანაც ენა მდიდარია ისეთი კულტურული მომენტების აღმნიშვნელი

7. http://mastsavlebeli.ge/?p=2536

8. „ენის სწავლა, ეს არის კონტექსტური და სიტუაციური ფრაზული ერთეულების დასწავლა. [...] საუბარია ყოველდღიური ცხოვრებიდან და შესასწავლი ენის კულტურიდან აღებულ თემებზე. https://trema.revues.org/1659

რეალიებით, რომელთა გაგება და თარგმნა მშობლიურ ენაზე მათი ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

> თანამედროვე უცხოური ენის გაკვეთილის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ კულტურათშორისი დიალოგის, როგორც ინტერკულტურული სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტის წინა პლანზე წამოწევა და ამ საკითხებისადმი დიდი ყურადღების მიქცევაა [...] საჭიროა, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე მიღწეულ იქნას როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური სასწავლო მიზნები, რომლებიც კომპეტენციის სამ მთავარ სფეროს – ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და დამოკიდებულებებს უნდა შეესაბამებოდეს. (შავერდაშვილი et *al.*, *უცხოური ენების სწავლების საფუძვლები* 127)

სწორედ ამიტომ აქცენტს გავაკეთებთ კონკრეტულად ფრაზეოლოგიზმების შესწავლაზე, რადგანაც ისინი ფარული აზრის მატარებელნი არიან, რომელთა მნიშვნელობა ზოგჯერ მათში შემავალი სიტყვების საშუალებით ნათელია, ზოგჯერ კი პირიქით – მათში შემავალი სიტყვები არაფრის მთქმელია და გამონათქვამის ნამდვილი აზრის გაგება შეუძლებელია ეტიმოლოგიის ცოდნის გარეშე. ტერმინი ფრაზეოლოგია შარლ ბალიმ დაამკვიდრა თავის ნაშრომში *Traité de stylistique française* (ფრანგული სტილისტიკის ტრაქტატი), რითაც საფუძველი ჩაუყარა XX ს-ში ლინგვისტიკის ახალი დარგის, ფრაზეოლოგიის ჩამოყალიბებას. ფრანგული განმარტებითი ლექსიკონის, *Petit Robert*–ის მიხედვით, ლინგვისტიკაში "la phraséologie correspond à l'ensemble des expressions, locutions, collocations et phrases codées dans la langue générale" (*Petit Robert*, 2010)[9].

სწავლების განსხვავებული ეტაპების, ასაკისა და გარემოს გათვალისწინებით სხვადასხვა მასალის ათვისებისას, დასაშვებია ციფრული სწავლების მეთოდების განსხვავებულად და სინთეზურად გამოყენება.

მოსწავლეთათვის ფრანგული იდიომების სწავლება უნდა მოხდეს მათი ასაკობრივი და ენობრივი დონის გათვალისწინებით. დაინტერესების მიზნით, უმჯობესია მყარი შესიტყვებების დოზირებული მიწოდება. მასწავლებლის ან მოსწავლის მიერ დემონსტრირების მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია აუდიო და ვიზუალური მასალის ერთდროულად მიწოდება, რაც გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის არსს – თუ რატომაა საჭირო იდიომების დასწავლა. დემონსტრირება შესაძლოა

9. „ფრაზეოლოგია ესაა გამოთქმათა, შესიტყვებათა და საერთო ენაში კოდირებულ ფრაზათა ერთობლიობა". http://phraseologiepourtous.com/

მარტივ სახეს ატარებდეს, როგორიცაა, მაგალითად, მოიძიოს და თემატურად დაალაგოს მარტივი ფრაზეოლოგიზმები თანდართული, დამოუკიდებლად მოძიებული სურათებით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორიცაა მყარი იდიომების პრეზენტაცია, რომელთა აზრის გაგება მხოლოდ მათ შემადგენლობაში შემავალი სიტყვებით შეუძლებელია. მაგალითად:

Rouge comme une tomate[10] – *Être tout rouge* – ჭარხალივით წითელი. 1960 წლით დათარიღებული ფრაზეოლოგიზმი პირდაპირ კავშირშია წითელ ფერთან, (აქ ზოგჯერ ძლიერი ემოციის განცდისას წითლად შეფერილ ლოყის ფერთან);

Passer comme une lettre à la poste[11] – *passer très facilement sans insident* – რაიმეს ადვილად მოგვარება. XIX ს-ით დათარიღებული გამონათქვამი ძირითადად გამოიყენებოდა ადვილად და სწრაფად გადასაყლაპ საკვებთან მიმართებაში. ის ანალოგიის გზით აკავშირებს ადამიანის პირსა და საფოსტო ყუთს, რომლებიც თითქოს ერთგვარად „ყლაპავენ“ წერილს;

Il a le coeur sur la main[12] – *être généreux* – გულუხვი, ხელგაშლილი ადამიანი. თუ ადამიანს გული „ხელზე აქვს“, ეს ნიშნავს, რომ ის მზადაა მისთვის ყველაზე ძვირფასის გასაცემად და რომ მისი გულუხვობა ეჭვგარეშეა. გარდა ამისა, მეტაფორულად გული ასევე სულის სიძლიერეს წარმოადგენს. საბოლოოდ ამ ინგრედიენტების ნარევს XVIII ს-ის ბოლოს შეეძლო ეს გამონათქვამი წარმოექმნა.

თვითშემოწმების მიზნით მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ ონლაინ-გვერდებზე მოცემული დავალებების შესრულება და შედეგების ნახვა. გაკვეთილზე ფრაზეოლოგიზმების წარმოთქმა, მათი განმეორება, ჟესტიკულაციით გადმოცემა მათ უვითარებს ლინგვისტურ, ენობრივ და სივრცულ ინტელექტს, ასევე რითმისა და სმენის უნარს, ხოლო ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა კი – კომუნიკაციურ უნარებს.

სტუდენტების სწავლების მეთოდიკა რადიკალურად განსხვავებულია. სალექციო კურსი სწავლების ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს, ხოლო აუდიტორიაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა ქმნის შესაბამის გარემოს. ფრანგული ენის მომავალი სპეციალისტი, ეუფლება რა ენას პროფესიული თვალსაზრისით, ცდილობს, გაითავისოს მისი კულტურა, გაეცნოს მის ისტორიასა და სიმბოლიკას. სწავლების ციფრული მეთოდები კი სტუდენტებს ენის უფრო მაღალი ბარიერების

10. http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/330/etre-rouge-comme-une-tomate/

11. http://www.expressio.fr/expressions/passer-comme-une-lettre-a-la-poste.php

12. http://www.expressio.fr/expressions/avoir-le-coeur-sur-la-main.php

დაძლევაში ეხმარება. კონსულტაციის მეთოდით მიღებული რჩევებით, ენის ცოდნის დონის მიხედვით, სტუდენტს დამატებით შეუძლია მოიძიოს უამრავი ლიტერატურული მასალა, ვიდეო რგოლები, ფილმები სუბტიტრებით. სტუდენტის შემთხვევაში იდიომების ცოდნა აუცილებელია. პრაქტიკული მეთოდის გამოყენებით, მას ინტერნეტ-გვერდებზე დამოუკიდებლად შეუძლია მათი ეტიმოლოგიების მოძიება, რითაც ეცნობა ქვეყნის ისტორიას, მის სიმბოლიკას, სემიოტიკურ ნიშნებს, დამატებით ლინგვისტურ დისციპლინებს, სწავლობს ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელთა საშუალებითაც შეუძლია ეკონტაქტოს ვირტუალურ მეგობრებს; მათთან დიალოგის გზით კი პრაქტიკაში იყენებს შესწავლილ მასალას და იმდიდრებს მსოფლმხედველობას. ყოველივე ზემოთქმულიდან კი ნათლად ჩანს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნისა და ციფრული ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა. ისეთი ინტერნეტ-გვერდები, როგორებიცაა: https://www.francaisfacile.com/exercices/exercice-francais-2/exercice-francais-90561.php; http://www.parismonterrey.com/blog/2012/05/10/expressions-avec-couleurs/; http://www.bonjourdefrance.com/exercices/contenu/les-expressions-idiomatiques-avec-les-couleurs.html; http://www.langue-fr.net/spip.php?article177; http://www.linternaute.com/expression/; http://www.expressions-francaises.fr/; http://www.expressio.fr/toutes_les_expressions.php.

გვთავაზობენ ფრაზეოლოგიზმთა განმარტებებს, ეტიმოლოგიებს, არქაიზმებს, ლიტერატურიდან მოყვანილ პრაქტიკულ მაგალითებსა და დავალებებს. ამასთანავე უცხო ენის შემსწავლელს უნებურად აზიარებს საფრანგეთის ისტორიას, წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს. განვიხილოთ რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი:

საყოფაცხოვრებო სიმბოლიკის მატარებელი ფრაზეოლოგიზმები

Être Charette[13] – *être en retard au travail* – სამუშაოზე დაგვიანება. უძველესი ფრანგული ფრაზეოლოგიზმია. მე-19 ს-ის ცნობილი პარიზული გამონათქვამი სათავეს იღებს პარი-მალაკეს არქიტექტორთა უმაღლესი ეროვნული სკოლის სტუდენტთა ჟარგონიდან. გადაადგილებისა და პროექტის დროულად დასრულების მიზნით, ისინი ხშირად იყენებდნენ მონპარნასის სადგურთან მდებარე გამყიდველთა ურიკებს. შედეგად კი მივიღეთ ეს ფრაზეოლოგიური ერთეული.

Tomber dans les pommes[14] – *perdre connaissance, s'évanouir* – გულის წასვლა, გონების დაკარგვა. ფრაზეოლოგიზმის გაჩენა

13. https://www.location-francophone.com/blog/expressions-parisiennes/

14. http://www.expressio.fr/expressions/tomber-dans-les-pommes.php

დადასტურებულია 1889 წელს, მაგრამ ნადვილი წარმოშობა უცნობია. თუმცა სავარაუდოდ, ის დაინერგა ჟორჟ სანდის მიერ მადამ დიუპენისადმი მიწერილ წერილში დაღლილობის აღსანიშნავად გამოყენებული ფრაზით „*être dans les pommes cuites*“, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდებოდა გამონათქვამს „*être cuit* – დამარცხება, ხათაბალაში ჩავარდნა“.

Il a les pieds en bouquet de violettes[15]*- servant à decrire quelqu'un au comble de la juissance et qui passe du bon temps* – გამონათქვამი გამოიყენება კარგად დასვენებული, განტვირთული, უშფოთველი ადამიანის დასახასიათებლად. წარმოიშვა XX ს-ის მე-2 ნახევარში. მართლაც ლოგიკური შედარებაა: კმაყოფილი ადამიანი ყვავილის თაიგულივით ხარობს. თაიგულში მოთავსებული ტერფებიც განცდილი რელაქსაციისას „იფურჩქნება როგორც ყვავილების კომპოზიცია“. ინტერნეტ-სივრცეში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ფრანგულ კულტურაში ფიტონიმი ია მე-19 საუკუნის საფრანგეთის ისტორიასთან ასოცირდება, კერძოდ, ბონაპარტისტულ იებთან – საიმპერატორო ყვავილთან. სემიოტიკური ნიშანი ია ბონაპარტისტული იმპერიის „აყვავების“ სიმბოლო იყო. 1815 წ. ჟან დომინიკ ეტიენ კანიუს[16] (Jean Dominique Étienne Canu) მიერ შექმნილ სურათზე დაკვირვებისას ჩანს[17] შენიღბული ნაპოლეონი, მისი მეუღლე მარი–ლუიზა და მისი ვაჟი ფრანსუა შარლ ჟოზეფი.



Avoir une araignée au plafond – ცოტა სულელი, ახირებული ადამიანი. XIX ს-ის მეორე ნახევარში წარმოქმნილი იდიომით პარიზელი

15. http://www.expressions-francaises.fr/expressions-i/860-il-a-les-pieds-en-bouquet-de-violettes.html

16. http://lesapn.forumactif.fr/t3200-caporal-violette

17. http://figuresambigues.free.fr/ArticlesImage/napoleon.html#axzz4WhtDsb6k; https://gavroche60.com/2015/09/14/la-violette-embleme-bonapartiste/

მეძავები სარგებლოდნენ. ამ ფრაზეოლოგიზმის ნაცვლად, ოდესღაც ფრანგები გამონათქვამს – *Attention à ceux qui yoyotent de la truffe*[18] – იყენებდნენ, რომელშიც ზმნა *yoyoter* = *divaguer* = ყბედობა-ს ნიშნავს და ის XXI საუკუნის ფრანკოფონებისთვის უცნობია. ხსენებული არქაიზმი ფრანგულ ციხეებში წარმოიშვა და ყბედობას, ბოდვას, არეულად საუბარს ნიშნავდა. მეტაფორულად თუ წარმოვიდგენთ სიტუაციას – ადამიანის თავში ობობას, შედეგად ვიღებთ ნაკლებად ნორმალური ქცევის ადამიანსაც[19].

ლექტორისთვის ციფრულ მეთოდებს უდიდესი სარგებელი მოაქვს, მათი წყალობით ლექცია უფრო ნაყოფიერია. უცხო ენის შემთხვევაში დისტანციურად მოძიებული უახლესი ლინგვისტური მასალა ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს. მის მიერ წინასწარ შედგენილი აუდიო-ვიდეო მასალა, რომელიც უახლესი ტექნოლოგიების წყალობით თითქმის ყველა სტუდენტს შეუძლია ჩაიწეროს და მოისმინოს კომპიუტერსა თუ სმარტფონებში, სასწავლო დაწესებულების მიღმა სტუდენტებს დაეხმარება სმენითი და ზეპირსიტყვიერი უნარების განვითარებაში.

განასხვავებენ პირდაპირი (ტრადიციული სწავლების ფორმა) და არაპირდაპირი სწავლების მეთოდებს. პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლიდან პირდაპირ გადაეცემა მოსწავლეებს, ხოლო არაპირდაპირისას – მოსწავლეებს ეძლევათ გარკვეული ინფორმაცია ან მითითებები, რომლებზე დაყრდნობითაც ისინი თავად აგებენ ცოდნას. სტუდენტებისთვის ინფორმაციის სწრაფად გადაცემის თვალსაზრისით, პირდაპირი სწავლების მეთოდი ძალიან კარგია. თუმცა ის ნაკლებად ეფექტურია შედარებით მაღალი სააზროვნო უნარების, როგორებიცაა ანალიზისა და შეფასების უნარების განსავითარებლად. ასეთ დროს ლექტორის მიერ არაპირდაპირი სწავლების მეთოდების გამოყენება სტუდენტებს უფრო მეტ სტიმულს აძლევს და უფრო შედეგიანიცაა – მოიძიონ ინფორმაცია, დაახარისხონ, გაანალიზონ, გამოიტანონ დასკვნები, რის შედეგადაც დამოუკიდებელი მუშაობის უნარის მქონე სტუდენტებს ვიღებთ. დისკუსიის, ჯგუფური მუშაობისა და კითხვა-პასუხის მეთოდები ეხმარება სტუდენტებსა და მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებაში. ინტერნეტით მოძიებული დამატებითი მასალა ლექციას უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის. პროექტისა და თუ პრეზენტაციის მეთოდის გამოყენებით, ცხადია მასალის დაძლევის ალბათობა, რომელიც სტუდენტს უმაღლებს პასუხისმგებლობის

18. https://www.location-francophone.com/blog/anciennes-expressions-francaises/

19. http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/1086/avoir-une-araignee-au-plafond/

გრძნობას, მოტივაციასა და ეხმარება, გახდეს უფრო სოციალური და კომუნიკაბელური. სასწავლო პროცესში ლექტორის მიერ ორივე მეთოდის სინთეზია შესაძლებელი.

დასკვნა

ამრიგად, გამოვლინდა ციფრული მასალის ფასდაუდებელი როლი ფრანგული ფრაზეოლოგიზმების შესწავლისას. ამ ეტაპზე წარმოდგენილი კვლევის შედეგად, მოყვანილი მცირე ემპირიული მასალიდან გამომდინარე, წარმოჩნდა ადამიანთა და მათი საქმიანობის დასახასიათებლად გამოყენებული და დავიწყებული ფრაზეოლოგიზმებიც, რომელთა შემადგენლობაში შემავალი სიტყვები ზოგჯერ არაფრის მთქმელია და ბუნდოვანი აზრის გასაგებად „გვაიძულებს“ ეტიმოლოგიის ცოდნას, რითაც რიგ შემთხვევებში საფრანგეთის ისტორიასა და სემიოტიკურ ნიშნებს გვაზიარებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში გვიადვილებს შენიღბული აზრის გაგებას. მაშასადამე, ფრანგული ფრაზეოლოგია ინტერდისციპლინურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიზმების სწავლება/შესწავლისას აუცილებელია სხვადასხვა დისციპლინებისა და მეთოდიკის ცოდნაც, რაშიც ციფრული სახით მარტივად ხელმისაწვდომი უმდიდრესი მასალა უმნიშვნელოვანეს დახმარებას გვიწევს, ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ გარემოში და მორგებულია როგორც მასწავლებელზე, ასევე ენის შემსწავლელზე.

ბიბლიოგრაფია

გობრონიძე, ალექსანდრე, *პედაგოგიკა*, ბათუმი, გამომცემლობა აჭარა, 2000 წ.

დიასამიძე, ასმათ, *თანამედროვე სკოლის მართვის სტრატეგიები (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების მაგალითზე)*, დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი, 2012, https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5260_1.pdf (ნახვა 28 სექტემბერი 2017).

ლობჟანიძე, სოფიო, *სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები*, ჟურნალი მასწავლებელი, 16 მაისი 2012 წ., http://mastsavlebeli.ge/?p=2536 (ნახვა 28 სექტემბერი 2017).

სურგულაძე, ნატალია, *ზოონიმთა და ანიმალურ სომატიზმთა შემცველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ქართულ ენებში (მონოგრაფია)*, ბათუმი, გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009 წ.

ქადეიშვილი ნუნუ, ახვლედიანი ციური, წულაძე-კალატოზიშვილი ნინო, ბიბილეიშვილი ცისანა, *ფრანგულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი, ტ. I-II-III, გამომცემლობა მეცნიერება, 1998-2000 წ.

ღლონტი ლიკა, ქიტიაშვილი ანასტასია, ლაბარტყავა ნინო, გვარამაძე ციცო, *სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში*, თბილისი, 2008წ., http://ncp.ge/files/sasargeblo%20resursebi/wignebi/swavlebisa%20da%20shefasebis%20metodebi.pdf (ნახვა 20 სექტემბერი 2017).

შავერდაშვილი ეკატერინე, ფიცხელაური ნინო, რამიშვილი ფატი, გვასალია მეგი, *უცხოური ენების სწავლების საფუძვლები*, ნაწილი პირველი, თბილისი, გამომცემლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014. https://www.researchgate.net/profile/Ekaterine_Shaverdashvili/publication/275583428_utskhouri_enebis_sapudzvlebi/links/553feb4e0cf2736761c25beb/utskhouri-enebis-sapudzvlebi.pdf (ნახვა 02 ოქტომბერი 2017).

Coianiz, Alain, *Méthodologie de l'enseignement du français et conceptions de l'homme*, *Tréma*, URL: http://trema.revues.org/1659 ; DOI : 10.4000/trema.1659 (consulté le 28 სექტემბერი 2017).

Demaizière Françoise, Grosbois, Muriel, *Numérique et enseignement-apprentissage des langues en Lansad – Quand, comment, pourquoi?*, *Alsic*, Vol. 17 | 2014, URL: http://alsic.revues.org/2691; DOI: 10.4000/alsic.2691 (consulté le 20 სექტემბერი 2017).

Soubrié, Thierry, Dejean-Thircuir, Charlotte, *L'introduction du numérique dans les manuels de FLE: un moyen de repenser les finalités de l'éducation et les approches pédagogiques?*, Les manuels scolaires et le numérique – Journée Pierre Guibert, 2014, Montpellier, France. http://hal.univ-grenoble-alpes.fr/hal-01162397/document (PDF) (consulté le 10 სექტემბერი 2017).

Маслова, Валентина Авраамовна, Лингвокультурология, Москва, Академия, 2001.

Пименова Марина Владимировна, Кондратьева Ольга Николаевна, Концептуальные исследования, Москва, Изд. Флинта, Наука, 2011.

გამოყენებული ონლაინ რესურსები:

http://www.larousse.fr
http://phraseologiepourtous.com
http://www.linternaute.com/expression/langue-francaise/14/avoir-la-dalle/
http://www.expressio.fr/expressions/crever-avoir-la-dalle.php
http://originedesmots.blogspot.com/
http://www.bonjourdefrance.com/index/indexexpresidiom.htm
http://lewebpedagogique.com/culturefrancaisepourtous/vie-quotidienne/les-expressions-courantes/

http://nathaliefle.com/12-expressions-parler-comme-francais/
https://www.lepointdufle.net/penseigner/expressionsidiomatiques-fiches-pedagogiques.htm
http://www.expressions-francaises.fr/expressions-i/860-il-a-les-pieds-en-bouquet-de-violettes.html
http://ecbaill.free.fr/expressi/listeexpr.ht
http://portail-du-fle.info/glossaire/methodologies.html#1